ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N98

2021 წლის 16 დეკემბერი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამა“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მოქმედების სფერო და მიზანი

1. პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის:

ა) განათლების სფეროს წარმომადგენლებს (აღმზრდელი, პედაგოგი, საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, მოსწავლე) მიენიჭებათ საპატიო წოდება და/ან გადაეცემათ ფულადი ჯილდო;

ბ) სოციალურად დაუცველ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტებს აუნაზღაურდებათ სწავლის საფასური.

2. პროგრამის მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების ზრდა და მოტივაციის ამაღლება, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობა.

3. განათლების სფეროში საპატიო წოდების მინიჭების, ჯილდოს გაცემის და სწავლის საფასურის ანაზღაურების ინიციატორია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (ტექსტში შემდგომ - „სამსახური“).

მუხლი 2. საპატიო წოდებები, ჯილდოები და განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს:

ა) **„წლის საუკეთესო აღმზრდელი“** - მიენიჭება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების არაუმეტეს 3 (სამი) აღმზრდელ-პედაგოგს/აღმზრდელს, რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო თითოეულს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. კანდიდატებს გამოავლენს ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების“ მიერ შექმნილი კომისია. კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებიც;

ბ) **„წლის საუკეთესო მასწავლებელი“** - მიენიჭება საჯარო სკოლების არაუმეტეს 3 (სამი) მასწავლებელს, რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო თითოეულს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. კანდიდატებს გამოავლენს ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ შექმნილი კომისია. კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებიც;

გ) ფულადი ჯილდო - გადაეცემა საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც (ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ სამსახურისთვის წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად) მიმდინარე წელს სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე:

გ.ა) 300 (სამასი) ლარის ოდენობით - ოქროს მედალოსანს;

გ.ბ) 200 (ორასი) ლარის ოდენობით - ვერცხლის მედალოსანს;

დ) სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (ლეპტოპი) - გადაეცემა საჯარო სკოლების 6 (ექვსი), სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეს, რომლებიც შეირჩევიან V-XI კლასის სოციალურად დაუცველ (100 001 ქულამდე) მოსწავლეთაგან, საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის დამუშავებასა და კანდიდატების გამოვლენას უზრუნველყოფს სამსახური;

ე) ფულადი ჯილდო - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით - გადაეცემა საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, რომელმაც მიმდინარე წელს დაამთავრა სკოლა, წარმატებით გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი 100 % ოდენობით;

ვ) სწავლის საფასური (არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა) - აუნაზღაურდება სოციალურად დაუცველ (65 001 ქულამდე), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტს, რომელმაც მიმდინარე წელს დაამთავრა საჯარო სკოლა.

მუხლი 3. სწავლის საფასურის ანაზღაურების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

სოციალურად დაუცველმა სტუდენტმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა წარუდგინოს:

ა) განცხადება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ცნობა საჯარო სკოლიდან, რომლითაც დასტურდება მოსწავლის მიერ აღნიშნული სკოლის სრული კურსის მიმდინარე წელს დამთავრების ფაქტი;

დ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის/სტუდენტის აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ფაქტი. ცნობა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ;

ე) სასწავლებლის რეკვიზიტები;

ვ) ცნობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრიდან დაინტერესებული პირის ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.

მუხლი 4. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სამსახური. სამსახური პასუხისმგებელია პროცესის გამჭვირვალედ, ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვაზე.

მუხლი 5. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

მუხლი 6 . პროგრამის ვადები

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 7. პროგრამის შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების განვითარება, ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანების წახალისების, მოტივირების და მათი ღვაწლის დაფასების გზით;

ბ) ნიჭიერი ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.